

# მათემატიკის ოლიმპიადის ფინალური ტურის ტესტების მიმოხილვა

## მე-6 კლასი

მე-6 კლასის ფინალური ტურის ტესტი სტრუქტურით განსხვავდება პირველი ტურისგან. ტესტი შედგება 12 დავალებისგან და თითოეულ მათგანს, სირთულის მიხედვით, მინიჭებული აქვს განსხვავებული წონა: 2, 3, 4 ან 5 ქულა. მაქსიმალური ჯამური ქულაა 50. თითოეულ სავარჯიშოს თან ახლავს 4 სავარაუდო პასუხი (A, B, C, D).

მოსწავლემ უნდა შემოხაზოს პასუხი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება ამოცანის პირობას. ჯერ უნდა ამოხსნას ამოცანა და შემდეგ აირჩიოს სავარაუდო პასუხი, ან გამორიცხვის მეთოდით მივიღეს ჩამოთვლილთაგან შესაბამისი პასუხამდე.

ტესტები შინაარსობრივად მოიცავს შემდეგ ძირითად თემებს:

### 1. რიცხვთა თეორია, გამყოფები და ნაშთები

ეს კატეგორია აერთიანებს ამოცანებს, რომლებიც ეხება რიცხვების გაყოფადობის ნიშნებს, ნაშთიან გაყოფასა და რიცხვების თვისებებს (მაგალითად, ლუწ-კენგობას). ასევე, მოიცავს ნამრავლის გაყოფისას ნაშთის პოვნას და ობიექტების თანაბრად განაწილებისას (ჯერადებისა და ნაშთების) პრინციპების გამოყენებას.

*მაგალითი: რომელია უმცირესი სამნიშნა რიცხვი, რომელიც 5-ზე გაყოფისას ნაშთში გვაძლევს 2-ს, ხოლო 3-ის ჯერადია.*

- A) 102      B) 105      C) 107      D) 112

### 2. ალგებრული გამოსახულებები და განტოლებები

ეს ჯგუფი მოიცავს უცნობის შემცველი განტოლებების ამოხსნას, ასევე სხვადასხვა რიცხვითი გამოსახულებების, წილადებისა და უგოლობების ჭეშმარიტების დადგენასა და მათი მნიშვნელობების შეფასებას (მაგალითად, უდიდესისა და უმცირესის პოვნა ან შედარება).

*მაგალითი: ამოხსენით განტოლება:  $\frac{16}{4}x + 10 = \frac{34}{17}x + 24$*

- A) 7      B) 14      C) 5      D) 10

### 3. პრაქტიკული და ყოფითი გექსტური ამოცანები

ამ თემაში გაერთიანებულია ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული ამოცანები. მაგალითად, პროდუქტის ყიდვა-გაყიდვისას საერთო ხარჯებისა და სასურველი მოგების გამოთვლა, რაიმე მოქმედების დასასრულებლად საჭირო დროის ან რაოდენობის მინიმალური/მაქსიმალური მნიშვნელობების დადგენა და გაჭრებისა თუ ინგერვალების პრინციპზე აგებული ამოცანები.

*მაგალითი: ლენგის 4 ადგილას გაჭრას 6 წუთი სჭირდება. რა დრო დასჭირდება ამავე ლენგის 8 ადგილას გაჭრას, თუ თითოეულ გაჭრას თანაბარი დრო მიაქვს?*

- A) 10 წთ      B) 12 წთ      C) 14 წთ      D) 21 წთ

#### 4. ლოგიკა და ალგორითმული თავსაგებები

ეს კატეგორია ფარავს არასტანდარტულ ლოგიკურ ამოცანებს. მათ შორისაა ობიექტების გარკვეული წესით (ალგორითმით) გადაცვლა, მოცემული პირობებითა და კანონზომიერებებით ციფრების ან რიცხვების აღდგენა და კლასიკური ლოგიკური მსჯელობის ამოცანები, სადაც მაგალითად, პერსონაჟები ან სულ სიმართლეს ამბობენ, ან სულ იცეუებიან.

მაგალითი: სათამაშოების მაღაზიაში 3 ბურთი იცვლება 1 მანქანაზე, ხოლო 2 მანქანა იცვლება 5 ბურთზე. რა ექნება ბავშვს საბოლოოდ, თუ მას 7 ბურთი და 1 მანქანა აქვს და სურს რაც შეიძლება მეტი მანქანა შეაგროვოს?

- A) 3 მანქანა      B) 2 მანქანა და 2 ბურთი      C) 3 მანქანა და 1 ბურთი      D) 2 მანქანა და 1 ბურთი